გილოცავთ სახალხო დღესასწაულს!

# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

13 სექტემბერი, პარასკევი, 2024 წელი, №37 (9351), ფასი 40 თეთრი

გვილოცავენ!

## ჩვენი მხარის სავიზიტო ბარათი

### ბესიკ ამირანაშვილი
სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში



**ძვირფასო ბორჯომელებო, გილოცავთ ბორჯომ-ქალაქობას!**

ბორჯომი სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია. ეს ულამაზესი ქალაქი თავისი ისტორიითა და უნიკალური ბუნებით ყოველთვის პოპულარობით სარგებლობდა როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივ ტურისტებში. სწორედ იმ ნიშის შესანარჩუნებლად, რაც ბორჯომს აქვს, წარმოადგენს ტურისტული მიზიდულობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ჰაბს, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად არაერთ მნიშვნელოვან და მასშტაბურ პროექტს ვახორციელებთ. ძალისხმევას არ ვიშურებთ და მეტს გავაკეთებთ ქალაქის კიდევ უფრო გასავითარებლად, რათა ჩვენი მოქალაქეების, ჩვენი ბორჯომელების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მეტად გაუმჯობესდეს.

მინდა, მშვიდობა და კეთილდღეობა გისურვოთ თითოეულ ბორჯომელსა და სრულიად საქართველოს!

## მადლობა მხარდაჭერისათვის

### ანტონ ობოლაშვილი,
პარლამენტის წევრი.



**ძვირფასო ბორჯომელებო, მინდა მოგილოცოთ ბორჯომ-ქალაქობის სახალხო-ტრადიციული დღესასწაული.** ხეობა ორას წელზე მეტია ღირსეულად ატარებს ამ სახელს. ბორჯომი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. XIX-XX საუკუნეებში ბორჯომი გახდა ბალნეოლოგიური კურორტი.

ხეობაში მრავლადაა კულტურული ძეგლები, რომლებიც მის უნიკალურობასა და მრავალსაუკუნოვან მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

გასული პერიოდი ერთიანი ძალისხმევით, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების, მოსახლეობის ჩართულობით, მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოვიყენეთ, შევეცადეთ დაგვეძლია ყველა ის მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც აქამდე იდგა დღის წესრიგში და ახლაც მთელი შემართებით ვცდილობთ ვიზრუნოთ ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე.

ეს წელი უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მშვიდობის, დემოკრატიული მომავლის, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარებისთვის. მინდა თითოეულ თქვენგანს გადაგიხადოთ მადლობა მხარდაჭერისათვის. მჯერა, ერთად კიდევ ბევრ საქმეს გავაკეთებთ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისთვის.

გილოცავთ ბორჯომ-ქალაქობის დღესასწაულს, გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას და წინსვლას ევროპული მომავლისკენ.

## გისურვებთ წარმატებებს, მშვიდობასა და ბედნიერებას

### ოთარ არბოლიშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი



**ვულოცავ სახალხო დღესასწაულს ყველას, მათ, ვისთვისაც ძვირფასია ეს ქალაქი!** ვინც ქმნიდა ბორჯომის ისტორიას, ვინც დღეს ზრუნავს მის ყოველდღიურობაზე და ამით ქმნის მომავალს. განსაკუთრებით კი, მინდა მივულოცო ბორჯომზე მზრუნველებს, ჩვენს პოლიციელებს, პედაგოგებს, მედიკოსებს, მეეზოვეებს, მებაღეებს და ვინც ძალისხმევას არ იშურებს და თითქმის უწყვეტ რეჟიმში ზრუნავს ჩვენს ქალაქზე.

გულითადად გილოცავთ ბორჯომობას, გისურვებთ წარმატებებს, მშვიდობასა და ბედნიერებას."

## ვიამაყოთ ჩვენი ქალაქით

### დავით ზაალიშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.



**ძვირფასო ბორჯომელებო, მთელი გულით გილოცავთ ჩვენი ქალაქის დღესასწაულს.**

ბორჯომი არის ქალაქი, რომლის მიმართ სიყვარული ყველას გვაერთიანებს და გვაძლევს სტიმულს, ვიფიქროთ მის კეთილდღეობაზე, განვითარებასა და აღმშენებლობაზე, რათა თითოეულ ბორჯომელს შევუქმნათ ნათელი გარემო და უკეთესი ცხოვრებისეული პირობები.

განსაკუთრებით კი მინდა, მივულოცო ჩვენს ქალაქზე მზრუნველ ადამიანებს, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ ბორჯომსა და ბორჯომელებზე უწყვეტ რეჟიმში ზრუნვას.

ჩვენი მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია, რომ თითოეული პროექტი თუ პროგრამა, რომელსაც ვახორციელებთ, ყველა ბორჯომელს ეხებოდეს და ეხმარებოდეს სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში.

ბორჯომი მხოლოდ ქალაქი არ არის. ის დიდი ისტორიისა და ტრადიციის მატარებელია. ბორჯომი ერთგვარი ბრენდია, რომლის წიაღში მოპოვებული მინერალური წყალი, საერთაშორისო ბაზარზე ამაყად პოზიციონირებს და მსოფლიოს ჩვენი ქვეყნის უკეთესად შეცნობაში ეხმარება.

ბორჯომი ქალაქია, სადაც ძალიან ბევრი წარმატებული ადამიანი აღიზარდა და თავისი სამშობლო ასახელა. ჩვენ კი დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, რათა მის ისტორიას არ გადავუხვიოთ და ვიაროთ წინ, უკეთესი მომავლისკენ.

ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიამაყოთ ქალაქის წარსულით, ვაშენოთ აწმყო და ვიფიქროთ მის ღირსეულ მომავალზე.

კიდევ ერთხელ, გილოცავთ ჩვენი ქალაქისთვის ყველაზე მნიშვნელოვან დღეს - ბორჯომ-ქალაქობა 2024-ს!

„ქართული ოცნება" სამცხე-ჯავახეთში

## ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ ქაოსი, რომლის მოწყობას კოლექტიური ნაცმოძრაობა ცდილობს!



**ახალციხეში რეგიონული შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ:**

- მივესალმები ახალციხეში, ახალქალაქში, ბორჯომში, ნინოწმინდაში, ადიგენში, ასპინძაში, ვალეში, ბაკურიანში, წაღვერში, ახალდაბასა, აბასთუმანში მაცხოვრებლებს, ვრომლებმაც ძალიან კარგად იციან საკუთარი ქვეყნის ისტორია და განსაკუთრებით ტრადიციების მნიშვნელობა, ძალიან კარგად იციან მშვიდობით და სიყვარულით თანაცხოვრება სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს შორის. აქ მცხოვრებმა ქართველებმა, სომხებმა, სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა ზუსტად იციან, რომ მათ სამშობლოს - საქართველოს, ღირსებას ვერავინ წაართმევს და საკუთარ წარსულზე უარს ვერავინ ათქმევინებს, წარსულზე, რომელიც ასევე ღირსეული მომავლის მთავარი საფუძველია.

ჩვენ ვირჩევთ სიცოცხლეს, მშვიდობას, ღირსებას, კეთილდღეობას და მხოლოდ ამ გზით ვირჩევთ ამ ქვეყნის ევროპულ მომავალს!

**პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი:**

- 1 ოქტომბრის ისტორიული გამარჯვებიდან რამდენიმე წელში ჩვენი პარტიის დამფუძნებლის ბატონი **ბიძინა ივანიშვილის** ლიდერობით ჩვენმა გუნდმა - „ქართულმა ოცნებამ" ქვეყანას მოუტანა უამრავი ხელშესახები პროგრესი ყველა სფეროში, ბიუჯეტი და ეკონომიკა სამჯერ გაიზარდა, უმუშევრობა და სიღარიბე ისტორიულ მინიმუმზეა ჩამოსული. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან შეიქმნა 200 ათასზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი, გაიხსნა ქვეყნის საზღვრები, ჩვენი მოქალაქეები უვიზოდ მოგზაურობენ ევროპაში, ჩინეთში, რუსეთში; გავხსენით უზარმაზარი სავაჭრო ბაზრები, ევროკავშირის ბაზარი, სადაც ჩვენს ხალხს შეუძლია ყოველგვარი გადასახადების გარეშე შეიტანონ და გაყიდონ წარმოებული პროდუქცია. გავხსენით უზარმაზარი ჩინეთის ბაზარი, რუსეთის ბაზარი, დღეს სრული თავისუფლება აქვს ხალხს, როგორც გადაადგილების, ისე ვაჭრობის, მეწარმეობის, საკუთარი ნიჭის რეალიზების და ქვეყანა 12 წელიწადში გახდა ევროკავშირის კანდიდატი სახელმწიფო. ამ დროს იზრდება და ვითარდება ყველა სექტორი, რაც მთავარია, ქვეყანაში დაისადგურა უპრეცედენტო უწყვეტმა მშვიდობამ, და დღეს ხალხმა იცის, რომ ჰყავს ისეთი ხელისუფლება, რომლის მმართველობის პირობებშიც ქვეყანა და ხალხი დაცულია ყველაზე დიდი უბედურებისგან - ომისგან და ხალხმა იცის, რომ სანამ ბიძინა ივანიშვილია ხელისუფლებაში, ქვეყანაში ომი არ მოხდება. **26 ოქტომბერს ხალხმა უნდა აირჩიოს ომი ან მშვიდობა!**

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

წიგნის პრეზენტაცია

## დაამშვენებს ბორჯომის ისტორიას




**ბორჯომ-ქალაქობის დღესასწაულის აღსანიშნავი ზეიმი ნამდვილად დაამშვენა ახლახანს გამოცემულმა წიგნმა, რომლის სათაურია „ბორჯომის საპატიო მოქალაქეები".**

წიგნი გამოიცა ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თაოსნობით (თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საზოგადოება „ბორჯომელების" და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონ მაკა მანჯავიძის აქტიური და პასუხსიმგებლური დამოკიდებულება წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით.

წიგნის პირველ ნაწილში 76 საპატიო მოქალაქეა წარმოდგენილი. მეორე ნაწილის გამოცემასთან დაკავშირებით მასალების შეგროვება დაწყებულია.

ამ სამახსოვრო წიგნს ყველა საპატიო მოქალაქეს საზეიმოდ გადასცემენ.

## ბორჯომო - ჩემო - ბორჯომო!

ბორჯომო - ჩემო - ბორჯომო!
შენ მარტო მთები არა ხარ,
არც ჰაერი და არც წყარო,
შენ უფრო მეტი რამა ხარ,
რითაც აოცებ სამყაროს.
მიწის გულიდან რომ მოჩქეფს,
წყალია მარგებელიო
და თუ მოწრუპავ თუნდაც წვეთს
იქნები სულ ჯანმრთელიო.
ანდამატივით იზიდავს
მნახველებს შენი ბაღნარი,
სამოთხეს სხვაგან რად ვეძებთ,
როცა სამოთხე აქ არის.
ბორჯომო - ჩემო - ბორჯომო!
მარგალიტი ხარ ციცქნაო,
ყველა ლექსი და სიმღერა
ამ გულმა შენ მოგიძღვნაო.
ცად აშოლტილი ნაძვები,
გზადაგზა მესალმებიან,
მნახველები და სტუმრები
მტკვარის დუდუნით ტკბებიან.
ბუნების ამ საოცრებამ
ტანს რომ სულ მწვანედ აცვია,
ბევჯერ მტერი და მომხდური
ძმად და მეგობრად აქცია.
წლის არცერთ დროს არ გაკლია,
არც სტუმარი, არც მნახველი,
და საზღვრებს იქით გაუთქვი
დღეს საქართველოს სახელი!
ბორჯომო - ჩემო - ბორჯომო!
მართლაც ხარ ნატვრის თვალიო,
სიცოცხლის ელექსირია
შენი მკურნალი წყალიო.

**ჯემალ ბიბილური.**

## ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ ქაოსი, რომლის მოწყობას კოლექტიური ნაცმოძრაობა ცდილობს!




(გაგრძელება)

**პარტიის გენერალური მდივანი კახა კალაძე**: - დარწმუნებული ვარ, სამცხე-ჯავახეთი ამ არჩევნებზე თავის სიტყვას იტყვის, რომ უფრო ახლოს მივიდეთ იმ სანუკვარი ოცნების ასრულებასთან, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ჰქვია.

დიახ, დღეს დგას ის დრო, როდესაც თუ სწორად ვიმოქმედებთ, თუ ყველა საფრთხეს და შესაძლებლობას ზუსტად შევაფასებთ, თუ არ ავყვებით ქვეყნის შიგნიდან თუ გარედან წამოსულ პროვოკაციებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის არევისა და დესტაბილიზაციისკენ არის მიმართული, ჩვენი ქვეყნის გამთლიანების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამიტომ დღეს არავის გვაქვს უფლება, არ გავიზიაროთ ისტორიული გაკვეთილები, არავის გვაქვს უფლება, ავყვეთ ემოციებს. ჩვენ უბრალოდ მომავალი თაობები არ გვაპატიებენ შეცდომას. თუ გადავხედავთ წარსულს, ვნახავთ, რამდენი შეცდომა გვაქვს დაშვებული, რომელიც, რა თქმა უნდა, მძიმეა.

**პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი:** - ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ხის სიმაღლე მისი ფესვებიდან იზომება, რომ ჩვენ ჩვენი წინა თაობების მხრებზე ვდგავართ. მხოლოდ ასე, მშობლების და წინაპრების პატივისცემითა და მათი ღვაწლის სათანადო დაფასებით შევძლებთ მომავლისთვის თვალის გასწორებას და საქართველოს ისტორიის ღირსეულად გაგრძელებას. საქართველოს მომავლის საძიებლად არ სჭირდება უწარსულო მაწანწალასავით უმიზნოდ ხეტიალი. ჩვენი მომავალი ჩვენსავე წარსულშია ჩაბეჭდილი, რომელმაც გამოაწრთო, დააბრძენა და დაალვინა ჩვენი ერი საიმისოდ, რომ დინჯად და თანმიმდევრულად აშენოს მშვიდობიანი ხვალინდელი დღე. კარგად ვხედავთ, რომ ისტორიის, ჩვენი წინა თაობის, დამსახურებული ადამიანების წინააღდმეგ ბრძოლაში ოპოზიცია დაუპირისპირა ქართველ ხალხს და ქართულ საზოგადოებას.

26 ოქტომბერს გადაწყდება, ღირსეულად გავაგრძელებთ ჩვენი დამოუკიდებლობის ისტორიას, თუ ვიქცევით სხვათა ნების შემსრულებელ პერიფერიად.

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე**: - 26 ოქტომბრის არჩევნები არის გადამწყვეტი რეფერენდუმი, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ომი და მშვიდობა, ერთმანეთს უპირისპირდება საზოგადოების მორალური გადაგვარების მცდელობა და ტრადიციული ფასეულობები.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ითქვას - ვინც სვამს ტოლობის ნიშანს ავტორიტარიზმსა და ევროპას შორის, ადამიანების მკვლელობასა და ევროპას შორის, პატიმრებით გადავსებულ ციხეებსა და ევროპას შორის, ბიზნესის რეკეტსა და ევროპას შორის, ტელევიზიების მიტაცებასა და ევროპას შორის, ომსა და ევროპას შორის, კოლექტიურ „ნაცმოძრაობასა“ და ევროპას შორის, მას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ ევროპულ ფასეულობებთან!

**პარტიის დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი:** - როგორც წლების წინ, დღესაც, თქვენ წინაშე მდგომი, პირობას გაძლევთ, რომ თქვენი მხარდაჭერის შემდეგ, "ქართული ოცნება" მშვიდობის, კეთილდღეობის და საქართველოს ღირსეული ევროპული მომავლის ერთადერთი გარანტი, ერთხელ და სამუდამოდ, არა მხოლოდ პოლიტიკურად დაასრულებს რადიკალურ ოპოზიციას, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს, არამედ, დღის წესრიგში დადგება „ნაციონალური მოძრაობის“ არაკონსტიტუციურად გამოცხადების საკითხი.

გპირდებით, რომ არჩევნებზე დამაჯერებელი გამარჯვების პირობებში, საქართველოში სამუდამოდ დასრულდება უცხო ქვეყნებიდან ჩვენი ხალხისთვის ფსევდო-ლიბერალური ღირებულებების თავს მოხვევის ძალადობრივი მცდელობები, არავის მივცემთ უფლებას შეურაცხყოს ჩვენი რწმენა, კულტურა, ისტორია და ღირებულებები, რაზეც ვიზრდებოდით ჩვენ, იზრდებიან და მომავალშიც გაიზრდებიან ჩვენი შვილები.

## ბორჯომი საქართველოს სავიზიტო ქალაქია!

**XIX საუკუნის 80-იან წლებში დადგინდა ბორჯომის მინწყლების სამკურნალო თვისებები, ანალიზებისა და ხანგრძლივი დაკვირვებების შემდეგ მეცნიერებმა და მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ ბორჯომის მინერალური წყალი მკურნალობისათვის დასალევად ბევრად უკეთესია, ვიდრე აბაზანების სახით მისი გამოყენება. დაისვა საკითხი - მინწყლის რუსეთში გატანის შესახებ, რაც მთელ რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას მოითხოვდა.**

**საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბორჯომის მინერალური წყლები საქართველოს სავიზიტო ბარათია. მით უფრო ახლა, როცა წლიდან წლამდე საქართველოში მილიონობით ტურისტი და დამსვენებელი ჩამოდის, ჩვენი ვალია, მსოფლიოს კარგად გავაცნოთ რა სიმდიდრის პატრონები ვართ, ამის შესაძლებლობები კი ბორჯომს ნამდვილად აქვს.**

დღეს ქალაქი, რომლის სახელით მინერალური წყალის ,,ბორჯომი“-ს ჩამოსხმა წარმოებს, მსოფლიოს 40 ქვეყანაში 400 მილიონამდე ბოთლი მინწყალი გააქვთ სარეალიზაციოდ.



კომპანია ,,IDS ბორჯომი-საქართველო“ ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში თავისი ეკონომიკური, ფინანსური თუ საზოგადიოებრივ ცხოვრებაში აქტიურობით, ,,ბორჯომის“ მინწყალმა არაერთი გამარჯვება მოიპოვა საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო საქართველოში ბიზნესის განვითარების საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვს. კომპანია საქართველოს და კერძოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი შემავსებელია, აქტიურად ეხმარება საქართველოს რაგბის და კალათბურთის სპორტულ ორგანიზაციებს და სხვა.

**მესამე** წელია ყვიბისში, ყოფილ №2 ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე შენდება ახალი გიგანტური ქარხანა, რომელიც თავისი სიდიდით და თანამედროვე საჩამომსხმელო ხაზებით, ლაბორატორიით, მინწყლის ავზებით, სასაწყობო მეურნეობით, სარკინიგზო ქსელითა და სხვა დამხმარე სათავსოებით უნიკალური იქნება არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაში.

ქარხნის მშენებლობა სანახევროდაც არაა დამთავრებული და გაოცებას იწვევს მისი პარამეტრები, ერთ დიდ სამშენებლო პოლიგონადაა გადაქცეული ვეებერთელა ტერიტორია, საწარმოს ადმინისტრაცია დროებით ფლიგელშია განთავსებული, მაგრამ მის საჩამომსხმელო საამქროებში, დერეფნებში, სასადილოში, გარე პერიმეტრებში ყველგან იდეალური სისუფთავე იგრძნობა, სპეცტანსაცმლის გარეშე საამქროში შესვლა სასტიკად აკრძალულია (ეს მოთხოვნა ერთნაირად ეხება ყველას, საწარმოს რიგით მუშას, საამქროს უფროსს თუ ჟურნალისტს).

ქარხნის ახალმა დირექტორმა, ბატონმა მიხეილ წეველიძემ გვითხრა: - **ჩამომსხმელ საამქროში გერმანიიდან ექვსი სრულიად ახალი, თანამედროვე საჩამომსხმელო ხაზები დამონტაჟდება, (ორი უკვე დამონტაჟებულია, მესამე და მეოთხე მონტაჟდება) ამ უნიკალურ ხაზებს გერმანელი სპეციალისტები ამონტაჟებენ და ერთდროულად ადგილობრივ მუშებს ასწავლიან მათ მართვას და სრულ ტექნოლოგიურ პროცესს.**

- **ჩამომსხმელი ხაზების სიმძლავრეები მართლაც რომ გრანდიოზულია.**
- **ბორჯომის მინწყლის მინის ბოთლში ჩამოსასხმელი ხაზი საათში - 60 ათას ბოთლის სიმძლავრისაა.**
- **პეტის (ანუ პლასტმასის) ბოთლებისათვის ორი ხაზი მონტაჟდება, თითოეულის სიმძლავრე საათში 35-35 ათასი ბოთლია;**
- **ალუმინის ქილებში ჩამოისხმევა ხილის წვენის და ,,ბორჯომის“ მინწყლის ბაზაზე დამზადებული ლიმონათი საათში 35 ათასი ქილა;**
- **პეტის 3 და 6-ლიტრიან ჭურჭელში ჩამოისხმევა წყაროს წყალი ,,ბაკურიანი“ - საათში 8 ათასი ბოთლი:**
- **19-ლიტრიან ბალონებში ჩამოისხმევა მტკნარი წყალი ოფისებისათვის საათში 300 ცალი.**

სადღეისოდ კომპანია ყოველთვიურ დავალებებს სახეების მიხედვით წარმატებით ასრულებს.

დღეს ქარხანა სანახევროდაც არაა აშენებული და მხოლოდ 200 ადამიანია დასაქმებული, ხოლო ერთი წლის შემდეგ, როცა ქარხნის მშენებლობა დასრულდება, 600 ადამიანი დასაქმდება.

საჩამომსხმელო ხაზების პარალელურად მიმდინარეობს საამქროების გაფართოების, ლაბორატორიის და თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით აღჭურვა.

**ამ უნიკალურ** საწარმოში დაცულია მომსახურე პერსონალის შრომის, დასვენების, შრომის ანაზღაურების, საყოფაცხოვრებო პირობების მაქსიმალური პირობები.

როგორ ბატონმა მიხეილმა მითხრა, - ადამიანური ფაქტორი კომპანიისათვის უპირველესია და ეს მოთხოვნა კომპანიის გენდირექტორის, ბატონ ივანე მაჭავარიანიდან მოდის და მისი შესრულება ჩვენთვის სავალდებულოა.

**ალბათ გაინტერესებთ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, საყოფაცხოვრებო, ფინანსური, სამედიცინო პირობების დაცვის საკითხებიც.**

- **მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 1500 ლარია:**
- **წელიწადში ორჯერ ეძლევათ ხელფასის ოდენობის პრემია:**
- **ყველა მუშა-მოსამსახურე უზრუნველყოფილია სამედიცინო დაზღვევით;**
- **ყველა ახლად დაქორწინებულს ეძლევა პრემია;**
- **ყველას შვილის შეძენაზე ეძლევა პრემია:**
- **ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კოლექტივის წევრი იღებს დახმარებას;**
- **თანამშრომლების შვილები, რომლებიც უმაღლესში სწავლობენ, ეძლევათ ფულადი დახმარება;**
- **წელიწადში ერთხელ თანამშრომლებისათვის დაგეგმილია საინტერესო ექსკურსია, ხოლო დაზღვეულები დამატებით იღებენ დახმარებას;**
- **მუშა-მოსამსახურეებისათვის სასადილო უფასოა. თუ დასაქმებული 8 საათს მუშაობს, კვება უფასოა, თუ 12 საათს მუშაობს, ეძლევა დამატებითი კვება.**

**საინტერესოა, როგორია საწარმოს კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საქმე. სასიხარულოა, რომ საწარმოში დასაქმებულთა დიდი უმრავლესობა ადგილობრივია, ეს კი დიდი სტიმულია და საამაყოა თითოეული ბორჯომელისათვის.**

ერთ წელიწადში კავკასიაში ერთ-ერთი უნიკალური და მოცულობით უდიდესი საწარმო აშენდება. ეს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს არამარტო კომპანიაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეებს, არამედ თითოეულ ბორჯომელს.

სამწუხაროდ, უნიკალურ ,,ბორჯომის“ მინერალურ წყალს დღემდე შესაფერისად არ ვაფასებთ, ნუთუ ამ ,,უკვდავების წყალს“ არ ეკუთვნის ღირსეული მემორიალი ან ძეგლი რომ დავუდგათ. დღემდე არც ბორჯომის მინწყლის მუზეუმი გვაქვს.

სამწუხაროდ, იშვიათად შეხვდებით ბორჯომის მინწყალის ისტორიის შესახებ წიგნს, ბუკლეტს, გზამკვლევს ქართულ და უცხოურ ენაზე. ყოველწლიურად კომპანია და ინვესტორი ერთ მნიშვნელოვან, თანამედროვე ობიექტს მაინც უნდა აშენებდეს ბორჯომში.

ალბათ, ეს დროც მალე დადგება და ბორჯომის მინწყალი კიდევ ერთხელ ასახელებს საქართველოს.

**ვალერიან ლომიძე,**

**გაზეთ ,,ბორჯომის“ რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე.**

## ფუძე

**ღმერთმა დედამიწაზე სიცოცხლე რომ გააჩინა, მისი მარადიული არსებობისათვის ფუძე შექმნა. ყველა ცოცხალ არსებას სათანადო ჩვევები უბოძა, რომელიც მათ დაეხმარებოდა საკვების მოპოვებაში და თავდაცვაში. ღმერთმა გადახედა უმშვენიერეს და უნაკლო ფლორა-ფაუნას, მაგრამ ერთი ნაკლი მაინც აღმოაჩინა, მოძრავ, ცოცხალ არსებათა შორის არ იყო გონიერი არსება, რომელიც ხელს შეუწყობდა ფლორა-ფაუნის ღვთის მიერ ბოძებულ ჩარჩოებში გამრავლებას. ამის გამო მან გააჩინა ადამიანი, რომელსაც მისცა აზროვნებისა და მეტყველების უნარი. ღმერთმა ისიც გაითვალისწინა, თუ გონიერ არსებას არ ექნებოდა მისი შიში და რიდი, ბევრ დანაშაულს ჩაიდენდა, მას ჩააგონა, თუ დანაშაულს ჩაიდენდა, მას დაუსჯელს არ დატოვებდა, ამიტომაც ადამიანს ზომიერად უნდა აეთვისებინა ღმერთისაგან ბოძებული სიმდიდრე, არ უნდა გამოეჩინა სიხარბე და მკაცრად უნდა დაეცვა ღმერთისაგან ნაკარნახევი შეგონება.**

**რაკი ღმერთმა ადამიანი სხვადასხვა ენაზე აამეტყველა და დედამიწის სხვადასხვა კუთხეში დააფუძნა, ამით მან ადამიანს ერის არსებობის ორი პირობა - მამული და ენა უბოძა. საჭირო იყო მისთვის ერის არსებობის მესამე პირობაც - სარწმუნოებაც ებოძებინა, რომ ერი მდგრად მდგარიყო ფუძეზე და შეძლებოდა ღმერთისგან დაწესებულ ნორმებში ცხოვრება. ღმერთმა თვითონ ადამიანს მიანდო სარწმუნოების არჩევა. ე.ი. თვითონ ადამიანს უნდა გამოენახა გზა ღმერთთან უხილავი კავშირისა, რომ მისთვის თხოვნა მიეწვდინა.**

**ადამიანებს რომ შესძლებოდათ ერთმანეთის პატივისცემა და კეთილი საქმის კეთებისათვის ერთობლივი ლტოლვა, მან ადამიანს ჩაუნერგა კეთილშობილური გრძნობა - სიყვარული. სიყვარული ერის ფუძეს აძლიერებს და ერს მატებს მისი არსებობისათვის ბრძოლის უნარს. რაკი ღმერთმა ერის არსებობის სამი პირობა: მამული, ენა სარწმუნოება - ადამიანის გულში სიყვარულით შეადუღაბა, დაუშვებლად მიიჩნია ერის წარმომადგენლისაგან სამი პირობიდან რომელიმეს უარყოფა, თუ ასეთი რამ მოხდებოდა, მაშინ ასეთი ერის წარმომადგენელი ერის ფუძესაა მოწყვეტილი და ის ვერასოდეს შეძლებს ერისათვის სასიკეთო საქმის გაკეთებას. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც ფულის გულისათვის ეშმაკს მიეყიდებიან, წინაპართა აღიარებულ სარწმუნოებას გადამთიელთა სარწმუნოებაზე გაცვლიან.**

**ოდითგანვე ქართველი კაცი თავგანწირვით იბრძოდა მამულის, ენის და სარწმუნოების დასაცავად. ხშირად გასაჭირის ჟამს, ერის სულიერი მამები მხედართა დალოცვის შემდეგ მათთან ერთად მტერს ებრძოდნენ.**

**დღეს მძიმე ჟამი უდგათ სამშობლოს ერთგულ ერებს, მათ შორის ჩემს ლამაზ ქვეყანასაც. ჩვენს პლანეტაზე, ბევრგან ეროვნულ ფუძეს მოწყვეტილმა მგლად ქცეულმა ადამიანთა ხროვამ, რომლებმაც ღმერთისგან დადგენილ სამართლიანობის უხეში დარღვევით მოიპოვეს დიდძალი ქონება და რომელთაც მასონები და გლობალისტები ჰქვიათ, მოისურვეს, რომ ჩვენს პლანეტაზე არსებობდეს მხოლოდ ერთი სახელმწიფო, რომელიც მათ მიერ უნდა იმართებოდეს, ამიტომ მათი მიზანია, რომ დედამიწაზე ადამიანთა რაოდენობა მკვეთრად შეამცირონ. მათ კარგად იციან, რომ ადამიანთა რაოდენობის შემცირებას მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ ერებს ეროვნულ ფუძეს მოსწყვეტენ. ეროვნულ ფუძეს მოწყვეტილი ერი ბრბოა, რომელიც იოლი სამართავია, ამას თუ ისიც დაემატება, ფუძეს მოწყვეტილ ერებში დანერგავენ მათ მიერ შემუშავებულ გარყვნილებათა სახეობებს, მათ შორის ერთსქესიანთა ქორწინებას. პატარა ერები უმალ გაქრებიან.**

**ჯერჯერობით გლობალისტების მახვილი მომართულია ენისა და სარწმუნოების წინაალმდეგ. მათ კარგად იციან, თუ ერი ენას, სარწმუნოებას და წინაპართა ადათ-წესებს დაკარგავს, ის მამულსაც იოლად გაასხვისებს.**

**სწორედ ახლა მართებს ქართველს თავგანწირული ბრძოლა ენის, მამულის და სარწმუნოების დასაცავად, ასევე მართებს არდავიწყება წინაპართა ადათწესებისა, რომელიც ერს ნამდვილად ეროვნულ სახეს აძლევს.**

**მჯერა, მრავალტანჯული ქართველი ერი კვლავაც თავგანწირვით იბრძოლებს გადასარჩენად და ამ მძიმე ბრძოლაში გაიმარჯვებს! ჩვენთან არ ღმერთი!**

**გივი მაღრაძე.**

## ბორჯომო, მსოფლიოს წალკოტო!!!

**ბორჯომო, მსოფლიოს წალკოტო!!!**
**სულ მუდამ თვალის წინ მიდგახარ,**
**მსურს შენი ბუნება აღვწერო,**
**წრფელ გულით, წრფელ**
**გრძნობით გეფერო**
**და შენზე ლექსები დავწერო!**
**მთელ მსოფლიოში ხარ განთქმული,**
**ბორჯომო, უფალის რჩეულო,**
**ჰავით და მინწყლებით მკურნალო,**
**პატარავ და გამორჩეულო!**
**ვინც შენს ცას და მიწას ეწვია,**
**არასდროს არ დაავიწყდები,**
**პლატო, ჩარხისწყალი, პარკი და**
**ნაძვები, მუხები, ფიჭვები!**

**უფალმა მკურნალ წყლით შეგამკო,**
**სოფლებიც შეგიმკო ედემად,**
**რამდენ რჯულს სურვილმა დასძლია,**
**რომ შენი სიმდიდრე ეგემნათ.**
**იხარე, აყვავდი დამშვენდი,**
**ბორჯომო, სიცოცხლის ტაძარო,**
**დამშვენდი, რომ სხვების წინაშე**
**სირცხვილით თავი არ დახარო.**
**ყოველთვის გმოსავდეს უნარი,**
**სტუმრის და მასპინძლის დახვედრით,**
**მსოფლიოს რუკაზე ბრწყინავდეს**
**პატარა "ბორჯომი"-ს სახელი!!!**

**იზო სარქისიანი**

# სტუმარ-მასპინძლობის და სიყვარულის ზეიმია!

### გამორჩეული ახალგაზრდა

## ჩემთვის პრიორიტეტი დიზაინერობაა



**ანიმატორებს ბორჯომში ყველა იცნობს. სწორედ ანიმატორების რამდენიმე ახალგაზრდისაგან შემდგარი გუნდი ზრუნავს ბორჯომელი და არამარტო ბორჯომელი ბავშვების გუნება-განწობაზე. ეს ადამიანები არიან სწორედ ისინი, ვინც ერთ ჩვეულებრივ დღეს არაჩვეულებრივად აქცევენ.**

**უკვე რამდენიმე წელია, ამ შესანიშნავი ახალგაზრდებისაგან შემდგარი გუნდის წევრია განსხვავებული გარეგნობით, ჩაცმის მხოლოდ მისეული სტილითა და ბავშვებთან საოცარი სითბოთი და სიყვარულით გამორჩეული ახალგაზრდა, მომავალი ფსიქოლოგი, ლაზარე ციცქიშვილი. ლაზარე წელს ჩაირიცხა საერთაშორისო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, თუმცა მისი ინტერესის სფერო ბავშვობიდან ტანსაცმლის დიზაინია. აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში მას სამომავლოდ მეტად საინტერესო გეგმები აქვს. სანამ აქტიურ, შემოქმედებით სტუდენტურ საქმიანობას შეუდგება, ის თავის მშობლიურ ქალაქ ბორჯომში ჩავწერე.**

**გაგვეცანი, ვინ არის ლაზარე ციცქიშვილი?**

- ეთნიკურად ქართველი, სქესით მამაკაცი, გენეალოგიით ციცქიშვილი, სახელით ლაზარე. დანარჩენი... მუდამ ძიებაშია, ვინ ვარ მე.

**შენი პირველი სამსახური ანიმატორებს უკავშირდება?**

- თუ სამსახურად ჩავთვლი - პირველი სამსახური მაშინ იყო, როდესაც 11 წლის ვიყავი. ინდურ ფილმში მივიღე მონაწილეობა და მახსოვს 180 ლარი გამოვიმუშავე. მას შემდეგ იყო, რა თქმა უნდა, ანიმატორები, სადაც უკვე თითქმის 4 წელია ვმუშაობ.

**ჭეშმარიტებაა, რომ თუკი ადამიანს ბავშვები არ უყვარს, მათთან ვერ იმუშავებს. შენც ასე ფიქრობ?**

- ვფიქრობ, რომ ბავშვის გონება ყველაზე სუფთა რამაა ამ ქვეყანაზე. ის სარკესავით ხედავს ყველა მოვლენას და ილბეჭდავს გონებაში. ამიტომ ვფიქრობ, აუცილებელიცაა, რომ ბავშვთან ურთიერთობა სიყვარულით იწყებოდეს.

**საკმაოდ პატარა ასაკიდან მუშაობ. რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, რომ მან ადრეული ბავშვობიდან იცოდეს შრომის ფასი?**

- ბრძენ ადამიანებს უთქვამთ, თუ შენი სამსახური გიყვარს, ჩათვალე რომ უმუშევარი ხარ. მე იმდენად მიყვარს ის საქმეები, რასაც ვაკეთებდი, რომ არ ვთვლი, რომ ვმუშაობდი.

**ვინ არის შენ ცხოვრებაში ადამიანი, ვინც ყველაზე დიდ მოტივაციას გაძლევს?**

- ასე მარტივად ვერ ვიტყვი, რადგანაც მოტივაცია შეიძლება ისეთმა ადამიანმა მოგცეს, რომელსაც საერთოდ არ იცნობ, თუმცა ამ კითხვაზე უფრო კონკრეტულად რომ გაგცეთ პასუხი, ჩემი მთავარი მოტივატორი ყოველდღიურად, მშობელი დედაა. თუმცა, ჩემი ინტერესებიდან გამომდინარე, არიან მოდის სამყაროში ადამიანები, რომელთა ისტორიების მოსმენა დიდი მოტივაციაა ჩემთვის. მაგალითად, ჩიანნი ჩერსაცე.

**ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება შენთვის, მომავალი ფსიქოლოგი ხარ. როგორ გესახება ამ სფეროში შენი მომავალი?**

- იქ, სადაც მე პირადად საკუთარ თავს ვხედავ, ეს არის ადამიანებთან გულწრფელი ურთიერთობა, ამიტომ ავარჩიე ეს პროფესია, თუმცალა მინდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემთვის პრიორიტეტი მაინც დიზაინერობაა.

**კარგია, რომ ამ საკითხსაც შევეხეთ, რომ დიზაინი შენი ინტერესის სფეროა. რას აპირებ სამომავლოდ ამ მიმართულებით? რა გეგმები გაქვს?**

- ვაპირებ ამ მიმართულებით შევქმნა ისეთი სამოსი, რომელიც მოუხდება ყველა ფორმის, ასაკისა და კატეგორიის ადამიანს. მინდა ბედნიერება მივანიჭო ყველას ჩემი ნამუშევრებით. ერთ-ერთი სურვილია, რომ ჩემი პირველი დეფილე იყოს ასაკიანი და მშრომელი ქალებით, რომლებიც ჩემ სამოსს ჩაიცვამენ და ამით საკუთარ თავში სილამაზეს, ქალურობასა და ბედნიერებას დაინახავენ. ვფიქრობ, რომ ეს ყოველივე ძალიან სჭირდებათ ჩვენს ქუჩაში მოსიარულე უბრალო, ლამაზ ქალებს.

**14 სექტემბერს ბორჯომ-ქალაქობაა, რა არის შენთვის ეს დღესასწაული?**

-ჩემთვის ყველა დღესასწაული დღესასწაულია, მით უმეტეს ჩემი ქალაქია.

**დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის. წარმატებებს და ყველა ჩანაფიქრის ასრულებას გისურვებ.**

**ნატო მელიქიძე**

## ბორჯომი ჩემი სახლია



**რა არის ჩემთვის „ბორჯომ-ქალაქობის დღესასწაული"?** - ეს არის მთელი ერთი წლის განმავლობაში მიღწეული წარმატებების აღნიშვნა და დემონსტრირება. ამ დღეს ქალაქის იერსახე იძენს საზეიმო ელფერს და ადამიანებიც ამაღლებული განწყობით მონაწილეობენ დაგეგმილ ღონისძიებებში. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება და აქტიური მოღვაწეობა დაკავშირებულია ასეთი საზეიმო დღეების ლამაზად და შინაარსიანად ჩატარების პროცესთან. ოდნავ უკან გადავალ მოგონებებში და ვიტყვი, რომ „ბორჯომ-ქალაქობას" წინ უსწრებდა ისეთი მასობრივი ზეიმი, რომელიც ადრე იწოდებოდა სხვა სახელით. - "სხივი ნათელი".

,,ბორჯომ-ქალაქობა" ეს არის სილამაზისა და სიყვარულის დღესასწაული. ამ დროს ყველა ცდილობს ერთმანეთს შეეჯიბრნონ, პირველ რიგში, სიყვარულის გამომჟღავნებაში და შემდეგ შემოქმედებით სფეროებში. ამ დღეს ბორჯომს უამრავი ადამიანი სტუმრობს. ეწყობა გამოფენები, მუსიკის ჰანგები ლამაზად ერწყმის ბორჯომის ბუნებასა და ადამიანთა სადღესასწაულო განწყობას. ეს დღე იმითიცაა მნიშვნელოვანი, რომ ბორჯომის საპატიო მოქალაქეების არჩევა და წარდგენა ხდება. ერთ-ერთ ზეიმზე მე და ჩემ მეუღლეს მოგვანიჭეს ბორჯომის საპატიო მოქალაქის წოდება და დაგვაჯილდოვეს. ეს არის ყველაზე დიდი ჯილდო, რომლითაც ვამაყობთ მთელი ოჯახი. ეს წოდება ჩვენთვის ასევე მეტად სასიამოვნო და დიდად საპასუხისმგებლოა, რადგან თუ ღირსეული მოქალაქე ხარ ამ ქალაქის, გული უნდა შეგტკიოდეს მასზე, უნდა ზრუნავდე მისი იერსახის გალამაზებასა და მოვლა-პატრონობაზე. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩემი 88 წლის ცხოვრების მანძილზე, რა დროიდანაც შევიგრძენი და შევიყვარე ეს ქალაქი, ამ გრძნობისთვის არასოდეს მიღალატია. თითქმის შვიდი ათეული წელია, რაც სცენაზე ვდგავარ და ვემსახურები ბორჯომელ და არა მარტო ბორჯომელ მაყურებელს. სწორედ ამ ფორმით შემაქვს ჩემი წვლილი ქალაქის კულტურულ და თეატრალურ ცხოვრებაში. ჩემი სიყვარული და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება საყვარელი საქმის მიმართ არ დარჩენილა ყურადღების მიღმა და სათანადოდ იქნა დაფასებული. ვარ ღირსების ორდენის მფლობელიც.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემს ძვირფას თანამოქალაქეებს დიდი სიყვარულით მივულოცავ მოახლოებულ „ბორჯომ-ქალაქობას"!

**ზანგური ანდღულაძე,**
**ბორჯომის საპატიო მოქალაქე.**

## სასწავლო წელს ორგანიზებულად დაიწყებენ

**ახალი სასწავლო წლისათვის სამზადისი მაღალმთიან მოლითის სკოლაში დროულად დაიწყო. მერიის დახმარებით გარემონტდა სკოლის საკლასო ოთახები. სკოლას მიაშენდა სპეციალური ფლიგელი. ახლა 10 საკლასო ოთახი და სამასწავლებლო სრულ მზადყოფნაშია. მოსწავლეთა მისაღებად სახელმძღვანელოები, პროგრამები და სხვა დამხმარე საშუალებები მიღებულია სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის.**

**სამწუხაროდ, წელს კონტიგენტის უქონლობის გამო პირველი კლასის მოსწავლეები არ ეყოლებათ, (შარშან ხუთი პირველკლასელი ჰყავდათ), სულ სკოლაში 20 მოსწავლეა, მოსწავლეები ყველა ადგილობრივია. სიახლეა ისიც, რომ მომავალი წლიდან სკოლას საშუალო განათლების სტატუსი მიენიჭება. უკანასკნელ წლებში სკოლის კურსდამთავრებულები უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ სწავლას, - გვითხრა მოლითის სკოლის დირექტორმა ბატონმა ალბერტ არუთინიანმა.**

## ცდილობს მომხმარებლებს განსხვავებული ნივთები შესთავაზოს



**სოციალურ ქსელში ცოტა ხნის წინ ჩემი ყურადღება მეტად საინტერესო გვერდმა მიიპყრო სახელად ,,თიჯი-თა ჩიფტს", სადაც პოლიმერული თიხისაგან და გიფსისაგან დამზადებული ნივთებია განთავსებული. თითოეული ნივთის დათვალიერებისას საოცარი სილამაზე, დახვეწილობა და ავტორის გემოვნება იგრძნობა. დამაინტერესა ვინ იყო ამ არაჩვეულებრივი ნამუშევრების ავტორი და სოციალურ ქსელში მივწერე. მეტად სასიამოვნოდ მოულოდნელი აღმოჩდა ჩემთვის, როდესაც ხელოვანი, ბორჯომში მცხოვრები, შესანიშნავი ქალბატონი, თამილა თიგიევი აღმოჩდა. ქალბატონ თამილას საკუთარ საქმიანობზე ვთხოვე რომ ესაუბრა.**

- ყველაფერი საპნის დამზადებით დაიწყო, რომელსაც მოჰყვა პოლიმერული თიხით დაინტერესება. თოთოეულ დეტალს ხელით ვძერწავ, ასევე ვამზადებ სამკაულებს (ბეჭდებს, საყურეებს, ბროშებს). ვმუშაობდი აგრეთვე ე.წ. პოპიემაშეს და ბამბის საახალწლო და არამარტო საახლწლო სათამაშოებზე. ვამზადებ, როგორც სააღდგომო, ასევე საეკლესიო კვერცხებს ფაბერჟეს სტილში. გიფსზე მუშაობას რაც შეეხება, ალბათ გატაცებაა და მართლაც სრულიად სიახლეა ჩემთვის. მგონია, რომ გიფსისაგან უამრავი სილამაზის შექმნაა შესაძლებელი. ვცდილობ, რომ ყველა ნივთის ფასი ხელმისაწვდომი იყოს მსურველებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონმა თამილამ გასულ წელს მონაწილეობა მიიღო ,,ბორჯომ-ქალაქობის" დღესასწაულზე. ახალციხეში კი რეგიონში გამართულ პურისა და მოსავლის ფესტივალზე. ასევე ,,ხაშურ-ქალაქობაზე", სადაც მონაწილეობისათვის სიგელით დააჯილდოვეს.

ქალბატონი თამილა წელსაც იღებს მონაწილეობას ,,ბორჯომ-ქალაქობას" გამართულ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვაში. მისი გამორჩეული და გემოვნებით შექმნილი ნემუშევრები დამთვალიერებელთა დიდ ინტერესსა და მოწონებას დაიმსახურებს წელსაც.

ქალბატონი თამილა მიყვება, რომ გიფსის შესწავლა-ჩამოსხმით წელს დაინტერესდა და მოხარულია, რომ სხვებსაც ძალიან მოსწონთ. ამბობს, რომ საკმაოდ რთული, თუმცა საინტერესო პროცესია. მის დამზადებას სპეციფიური ტექნოლოგია აქვს, რომლის სრულყოფილი ცოდნაც აუცილებელია, რათა თითოეული ნივთი მოქნილი, დახვეწილი და რაც მთავარია, ესთეტიურად ლამაზი გამოვიდეს. როდესაც თითოეული ნივთი ყალიბში ჩამოისხმება, შემდეგ ხდება მისი საბოლოოდ დამუშავება-შეღებვა და მოხატვა.

ხელოვანი ქალბატონი ამბობს, რომ თითოეულ ნივთზე მუშაობა დიდ სიამოვნებას ანიჭებს და როდესაც სხვებიც ინტერესს გამოხატავენ, მისთვის ეს ბევრს ნიშნავს. ქალბატონი თამილა არასდროს წყვეტს მუშაობას და სიახლეების ძიებას, რაც ხელოვანი ადამიანისთვის მეტად მნიშვნელოვანი რამაა. იგი ცდილობს მომხმარებელს ყოველთვის განსხვავებული და რაც მთავარია, მრავალფეროვანი ნივთები შესთავაზოს. წარმატებები ქალბატონ თამილას ულამაზეს საქმინობაში. ბევრი წარმატებული ხელოვანი ბორჯომს.

**ესაუბრა ნატო მელიქიძე**



### რას ფიქრობენ ბორჯომ-ქალაქობაზე

## ბორჯომი ჩემი სახლია

**ბორჯომ-ქალაქობა ერთ-ერთი გამორჩეული და საყვარელი სახალხო დღესასწაულია არამარტო ამ ქალაქის მკვიდრთათვის, არამედ აქ ჩამოსული სტუმრებისთვისაც, თუმცა ორი აზრი არ არებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ბორჯომელივით ბორჯომი, ალბათ, არავის უყვარს. ბორჯომელივით არავის სტკივა და უხარია მისი ტკივილი თუ სიხარული. მართლაც რას ნიშნავს ჩვენი თანაქალაქელებისათვის მშობლიური ქალაქი, ქუჩაში თითქმის ყველა ასაკის ადამიანი გამოვკითხეთ:**

**ნინო 16 წლის:** - ბორჯომი ჩემთვის ჩემი სახლია, ჩემი ქუჩაა, ჩემი სკოლააა. ის ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც ჩემთვის საყვარელი და ძვირფასები არიან.

**მათე 24 წლის:** - ბორჯომი ის ადაგილია, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სადაც ყველა ის ადამიანი ცხოვრობს, ვისთან ერთად ყოფნაც მეძვირფასება. ჩემთვის ბორჯომი იმედის ქალაქია, სადაც ყველაზე იმედიანად ვგრძნობ თავს.

**ნუნუკა 33 წლის**: - ბორჯომი ჩემთვის სამოთხეა დედამიწაზე. ბორჯომის მსგავსი ქალაქი არსად მეგულება. აქ ყველაფერი მიყვარს, თითოეული ადამიანი, სახლი, ქუჩა, შენობა.

**მალხაზი 45 წლის**: - არასდროს მიფიქრია, ბორჯომის გარდა სხვაგან მეცხოვრა. ჩემთვის ბორჯომი კომფორტის ქალაქია, ყველაზე ნაცნობია, მშობლიურია. ყველა ბორჯომელს ვულოცავ ჩვენი ქალაქის დღესასწაულს, მუდამ გვეზეიმებოდეს.

**რიტა 53 წლის**: - ჩემთვის სიმშვიდის ფერი აქვს ბორჯომს. დილის ნიავსაც სხვანაირი სიმსუბუქე ახლავს თან. წვიმაც თითქოს უფრო თბილია. ყველაზე მაგარი ქალაქის მკვიდრი ვარ.

**ვიკა 25 წლის**: - ბორჯომი მიყვარს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ისეთი როგორიც არის, ნამდვილი, ბუნებრივი. ყველაფერში იგრძნობა მისი გამორჩეულობა, უნიკალურობა.

**გოგიტა 38 წლის**: - მიყვარს უსასრულოდ ჩემი ქალაქი. ყველას გილოცავთ ამ ლამაზ დღესასწაულს. სიხარული, წარმატება თითოეულ ბორჯომელს. გილოცავთ და გლოცავთ მთელი გულით.

**ვიქტორი 75 წლის:** - რამდენი საამაყო ბორჯომელი გვყავს, რამდენი განათლებული პიროვნება, რომლითაც უნდა ვიამაყოთ. როგორ ცუდ ხასიათზეც არ უნდა ვიყო, ქალაქის ქუჩებში ერთი გავლაც კი საკმარისია, რომ კარგ ხასიათზე დავდგე. გილოცავთ ყველას ამ ლამაზ დღესასწაულს.

**გამოიკითხა ნატალია მესხელმა**

# ახალგაზრდობა ბორჯომის მომავალია!

## გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



**ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ახალ ხელმძღვანელი ჰყავს. ქალბატონ ხათუნა ხარაზიშვილთან ინტერვიუ სკოლის მთავარ ფუნქცია-მოვალეობებზე საუბრით დავიწყეთ, რადგან მისი ხედვა ხელმძღვანელის პოზიციიდან საზოგადოების დიდ ინტერესსაც წარმოადგენს. დეტალურად ვისაუბრეთ ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, ასევე სკოლის ავტორიზაციის პროცესზე.**

**- კლასიკური განმარტებით სკოლა ეს არის დაწესებულება, სადაც მოსწავლეები სწავლობენ სხვადასხვა საგანს, თუმცა სკოლის სიღრმისეული შინაარსი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი კლასიკური განმარტება. ვფიქრობ, სკოლა სივრცეა, სადაც ქვეყნის მომავალი ფორმირდება. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლებში სრული მზაობაა ამ საპასუხისმგებლო მისიის შესასრულებლად.**

**- ქალბატონო ხათუნა, როგორ ემზადება ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები ახალი სასწავლო წლის დასაწყებად?**

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის ოცივე საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წლის დასაწყებად მზაობა მაღალია. სისტემატური კომუნიკაცია მაქვს სკოლის დირექტორებთან, როგორც საერთო, ასევე ინდივიდუალურ ფორმატში. ერთობლივი ძალისხმევით ყველა სკოლა მზადაა, რომ სასწავლო წელი 16 სექტემბერს დაიწყოს. მიმდინარეობს დვირის, ბაკურიანისა და ბორჯომის №6 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ვიმედოვნებთ, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები ვადაში გათვალისწინებულ პერიოდში დასრულდება და სკოლები შეუფერხებლად დაიწყებენ სასწავლო პროცესს

**- რამდენ პირველკასელ მოსწავლეს მიიღებს ჩვენი რაიონის სკოლები 2024 წლის სასწავლო წელს?**

- წელ 272 პირველკლასელი დაიწყებს სწავლას. მათ ტრადიციულად, განათლების სამინისტროსაგან ბუქები გადაეცემათ და ისინი გამორჩეულ, ლამაზ და საზეიმო ვითარებაში შეხვდებიან პირველ სასწავლო დღეს სკოლაში. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ ხვდება სკოლა პირველკლასელებს. დიდი სიყვარულითა და სითბოთი ველოდებით ჩვენს პირველკლასელებს. ჩვენ მათ თითოეულ სკოლაში ძალიან თბილ და ზრუნვით სავსე გარემოს დავახვედრებთ.

**დაწყებულია სკოლების ავტორიზაციის პროცესი. ბორჯომის რომელმა სკოლამ გაიარა ავტორიზაცია, რა სტანდარტების დაკმაყოფილება უწევს სკოლებს ავტორიზაციის მისაღებად?**

- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაწესებული სტანდარტების შესაბამისად, სკოლა უნდა აკმაყოფილებდეს 4 სტანდარტს. ეს ეხება სკოლის მისიას, სკოლის განვითარებასა და სტრატეგიულ გეგმას, სკოლის ხედვას, სასწავლო პროცესებსა და კურიკულუმებს, ინფრასტრუქტურასა და არაფორმალურ განათლებას. თუ ოთხივე სტანდარტი სკოლას აქვს შესაბამისობაში, სკოლა ამზადებს დოკუმენტაციას, რის შედეგადაც შესაბამისი ექსპერტები ადგილზე შეისწავლიან და განიხილავენ ყველა საკითხს, შემდეგ სკოლა გადის ავტორიზაციის საბჭოზე, სადაც ხდება გადაწყვეტილების მიღება სკოლის ავტორიზაციასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ბორჯომის სკოლებს, ამ ეტაპზე ავტორიზირებულია 7 სკოლა, რაც ნიშნავს იმას, რომ თითოეული სკოლა აკმაყოფილებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაწესებულ სტანდარტებს და შეუძლია სრულფასოვანი განათლება მისცეს თითოეულ მოსწავლეს მასზე მორგებული სწავლებით. ეს სკოლებია: №3-№4, წაღვერის, კორტანეთის, ლიკანის, ახალდაბისა და ტაძრისის საჯარო სკოლები. დანარჩენი სკოლები ემზადებიან ავტორიზაციის მიღებისათვის, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ყველა დარჩენილ სკოლას შეუძლია ავტორიზაციის მიღება. აღვნიშნავ, რომ ავტორიზაციის სამუშაოები ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი ყველა სკოლის თითოეულ დირექტორსა და მასწავლებელს ამ პროცესში დაუღალავი შრომისათვის. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მუდმივად ზრუნავს სკოლის განვითარებაზე, მასწავლებლის პროფესიულ ზრდასა და მათ ფინანსურ სიძლიერეზე, მოსწავლეებისათვის კომფორტულ და მათზე ორიენტირებულ გარემოს შექმნაზე. ამას თითოეული სკოლა, მოსწავლე, მათი მშობელი და პედაგოგი პირადად გრძნობს, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი სამინისტრის. აუცილებლად უნდა აღინიშნოს სასკოლო პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა, მათი თანადგომა განსაკუთრებულია, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალიტეტის ხელმღვანელებს.

**დასასრულს, სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ჩვენს მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და თითოეულ პედაგოგს, განსაკუთრებით კი ჩვენს პირველკლასელებს, რომლებიც თავის პირველ, დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამენ როგორც განათლების სფეროში, ასევე თავიანთ ცხოვრებაში. ყველას ერთად ნაყოფიერ და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო წელს ვუსურვებ. განათლება მომავლის განმსაზღვრელია. ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გავაძლიეროთ განათლების სისტემა და ჩვენი სამშოლო. წინ ბევრი გამოწვევაა და ჩვენ ღირსეულად ვუპასუხებთ თითოეულ მათგანს. ყველა საკითხს ჩვენს შესაძლებლობად და ჩვენს შემდგომ წარ-*მატებად ვაქცევთ.***

ესაუბრა **იზა იანვარაშვილი.**

## ბორჯომის მუნიციპალიტეტში 34-მა აბიტურიენტმა სახელმწიფო გრანტი მოიპოვა







**100%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვეს:**

**მარიამ გაგლოშვილი** - №3 საჯარო სკოლა;
**საბა ჩხეიძე** - №3 საჯარო სკოლა;
**არმან მურადიანი** - სოფელ ტაბაწყურის საჯარო სკოლა;

**70%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვეს:**

**ანა გოილაძე** -სოფელ ყვიბისის საჯარო სკოლა;
**ანასტასია ჩადუნელი** - ახალდაბის საჯარო სკოლა;
**ანა ღარსანია** - №1 საჯარო სკოლა;

**50%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვეს:**

**ნინო კახელი** - №1 საჯარო სკოლა;
**ნათალი ტალახაძე** - №1 საჯარო სკოლა;
**ნინო ხუციშვილი** - №1 საჯარო სკოლა;
**ნინო კაპანაძე** - №1 საჯარო სკოლა;
**ნიკოლოზ შოთაშვილი** - №1 საჯარო სკოლა;
**ლიზი ჩხეტია** - №1 საჯარო სკოლა;
**ნიკოლოზ ჩხიკვაძე** - №3 საჯარო სკოლა;
**ნიკოლოზ ცაბაძე** - №3 საჯარო სკოლა;
**მარიამ ლიპარტია** - №3 საჯარო სკოლა;
**ლიზი ნატბელაძე** - №3 საჯარო სკოლა;
**ცოტნე ცუცქირიძე** - №3 საჯარო სკოლა;
**გიორგი კევლიშვილი** - №3 საჯარო სკოლა;
**მირიან ბერიძე** - №4 საჯარო სკოლა;
**საბა ბედიაშვილი** - №4 საჯარო სკოლა;
**ნინო კურტანიძე** - №4 საჯარო სკოლა;
**ანე სარიძე** - №4 საჯარო სკოლა;
**გვანცა მაისურაძე** - №6 საჯარო სკოლა;
**საბა გელაშვილი** - №6 საჯარო სკოლა;
**მარიამ ქობალავა** - №6 საჯარო სკოლა;
**ანნა ბიწაძე** - №6 საჯარო სკოლა;
**მარიამ ტალახაძე** - სოფელ ყვიბისის საჯარო სკოლა;
**ავთანდილ ხრიკაძე** - დაბა წაღვერის საჯარო სკოლა;
**მარიამ ციცქიშვილი** - დაბა წაღვერის საჯარო სკოლა;
**თეონა სოტიშვილი** - ბაკურიანის საჯარო სკოლა;
**ესმირალდა ალიევი** - ბაკურიანის საჯარო სკოლა;
**ნინო ბლიაძე** - სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლა;
**მარი გოგოლაძე** - სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლა;

**შეგახსენებთ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტი, 100% - იანი, 70%-იანი და 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტებს, შესაბამისად 1000 ლარით, 700 ლარით, 500 ლარით, დააჯილდოებს.**

**აღნიშნულმა სტუდენტებს ვთხოვთ, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:**

**განცხადება;**

**პირადობის მოწმობის ასლი;**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში არანაკლებ 9 წელი სწავლების კურსის გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;**

**ცნობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან (სამოქალაქო რეესტრი);**

**ცნობა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესახებ;**

**საბანკო ანგარიშის ნომერი.**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტი გილოცავთ მიღწეულ შედეგს და გისურვებთ წარმატებას!**

# მისი დამსახურებით სკოლაში ყოველი დღე ზეიმია

**ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მასწავლებელი, ნინო კევლიშვილი წლებია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მეწარმეობის საფუძვლების პედაგოგია. მას ცხრაწლიანი გამოცდილება აქვს და გასულ წელს მეწარმეობის საუკეთესო პედაგოგად აღიარეს.**

აღნიშნულმა საგანმა დიდი დაინტერესება გამოიწვია მოსწავლეებში. ჩამოაყალიბეს სასწავლო მინი კომპანია „ფერადი ხელები". პროგრამის მიზანია, მოსწავლეებს გამოუმუშაოს მეწარმეობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები გუნდში მუშაობის, ლიდერობის, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები.

მინი კომპანიამ აწარმოა თიხისა და ხისგან დამზადებული გულსაკიდები. მონაწილეობა მიიღეს მინი კომპანიების გამოფენა-გაყიდვაში და შეჯიბრებაში, სადაც საქართველოს მასშტაბით შეირჩა საუკეთესო კომპანიები. მოხვდნენ 16 საუკეთესო გუნდს შორის და გადაეცათ სერთიფიკატი, რომელიც ცნობილია 123 ქვეყანაში.

რამდენიმე თვის წინ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გაიმართა ნინო კევლიშვილისა და მისი მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. მასწავლებელთან ერთად მოსწავლეებმაც წარადგინეს ნამუშევრები როგორც ხელოვნებაში, ასევე მეწარმეობაში და ინოვაციური პროდუქტით აღაფრთოვანეს დამთვალიერებელი. ქალბატონი ნინო ხშირად აწყობს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენებს სკოლის ფოიეში, რაც მოსწავლეებისათვის დიდ სტიმულს წარმოადგენს.



ნინო მასწავლებელზე სკოლის დირექციის მიერ მომზადებული ფაილის გაცნობისას ვკითხულობთ:

- ნინო კევლიშვილი სასკოლო საზოგადოების წევრებსა და მოსწავლეებს შორის სარგებლობს დიდი ნდობითა და ავტორიტეტით. ის არის კომუნიკაბელური, პოზიტიური. უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად მაქსიმალურად პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას. არის გულღია, უშუალო, კოლეგიალური, რაც ეხმარება მოსწავლეებსა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან ურთიერთობაში. ქალბატონი ნინო ყოველთვის მზად არის დაეხმაროს როგორც მოსწავლეებს, ისე კოლეგებს. დიდი ნდობით სარგებლობს აგრეთვე მშობლებშიც, ამას მოწმობს მის მიმართ სოციალურ ქსელში გამოხატული არაერთი გულწრფელი სამადლობელი ემოცია.

ზრუნავს მოსწავლეთა მიღწევებისა და პიროვნული ზრდის მხარდასაჭერად. დისკუსია-დებატების საშუალებით ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის ზრდასა და აქტიურობას, ასევე მოსწავლეებში თვითშეფასების ამაღლებას. ქალბატონი ნინო ყოველთვის ცდილობს, მეტი თავისუფლება მისცეს მოსწავლეებს, რათა გამოავლინონ თავიანთი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი. საუკეთესოდ უთავსებს ერთმანეთს ორ საგანს: მეწარმეობასა და ხელოვნებას. მოსწავლეებს უნერგავს ამ საგნების სიყვარულს. არასდროს არ ეზარება მათი წახალისება როგორც სიტყვიერად, ასევე დიპლომებითა და სიგელებით.

აქტიურად იყენებს ელექტრონულ სწავლებას, რაც მოსწავლეებს ეხმარება დროის სწორად გამოყენებაში. გაკვეთილები საინტერესო და სახალისოა, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა გაკვეთილზე ცდილობს პრაქტიკულად აჩვენოს მოსწავლეებს, როგორ იქმნება ახალი პროდუქტი, იყენებს სწავლა-თამაშით სტრატეგიას, ჯგუფურ მუშაობასა და ახსნა-განმარტებით მეთოდებს.

ნინო მასწავლებელი თითქმის ყოველდღე საზეიმო სიტუაციას უქმნის სასკოლო საზოგადოებას თავისი შემოქმედებითი საქმიანობით, რაც გამოიხატება საოცრად კრეატიული რესურსების შექმნით. აქტიურად მონაწილეობს ეროვნულ სასწავლო და საერთაშორისო პროექტებში. ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის მოსწავლეებში შეიმუშაონ და განახორციელონ სხვადასხვა აქტუალური პროექტი. კერძოდ, დაწვრილებით აცნობს პროექტის არსს, მიზანდასახულობასა და მნიშვნელობას. უზიარებს გამოცდილებას, რაც დიდ ინტერესს იწვევს მოსწავლეებში, რასაც ცხადყობს ნინო კევლიშვილის მოსწავლეების წარმატება სხვადასხვა პროექტში.

მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული თავისი მოქალაქეობრივი ვალი. საოცრად ტოლერანტულია და მოსწავლეებსაც უნერგავს ამ თვისებას. მოსწავლეებთან ერთად ზრუნავს ბუნებაზე, რგავს მწვანე ნარგავებს სკოლის ტერიტორიაზე, ასწავლის მოსწავლეებს ბუნებისა და ადამიანების სიყვარულს.

ნინო მასწავლებელს გასაოცარი უნარი აქვს ახალი სიცოცხლე აჩუქოს სხვისთვის გამოუსადეგარსა და უმნიშვნელო ნივთებს და შექმნას მათგან ხელოვნების ნიმუში, რომელიც ყველას აღაფრთოვანებს.

ქალბატონ ნინოს მკაფიოდ აქვს გააზრებული სკოლის მისია და მაქსიმალურად ცდილობს, აქტიურად ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში..

მისი საქმიანობა დადებითად აისახება მოსწავლეთა სწავლაზე, სასკოლო საზოგადოებასა და სკოლის ცხოვრებაში.

**შეიძლება ითქვას - ნინო კევლიშვილი საუკეთესო კანდიდატია მასწავლებლის ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად.**

მოამზადა **იზა იანვარაშვილმა**

# ერთმანეთს შევეჯიბროთ ბორჯომის სიყვარულში!

## ციხისჯვრული ქორწილი ქართულ-ბერძნული ჰანგებით

**პოშნახოვების ქართულ-ბერძნულ ოჯახში დიდი ზეიმია**. დილიდან აჟრიამულდა ციხისჯვარი, მათი ლამაზი, მელოდიური ბერძნული ენა განსაკუთრებით ამაღელვებლად ისმის - ქორწილისათვის ემზადება დიდი და პატარა. „კალიმერა!“ - ჩაუარა პოშნახოვების ხალხმრავალ ეზოს მეზობელმა და მისალმებას მილოცვაც მიაყოლა - ხუმრობა ხომ არაა, სამიდან შუათანა, 25 წლის შვილი, რემო ქორწინდება. რემო ჩემი უმცროსი მეგობარია, გულწრფელი და ალალი ბიჭი, ის ვეტერინარია და ბაკურიანში რომ მუშაობდა, მაშინ დავმეგობრდით. რემოს უბნიდან პატარძლის სახლიც მოსჩანს, იქაც ფაციფუცია. ქორწილი განსხვავებული რომ იქნება, ისედაც ვგრძნობ, - სიძე ციხისჯვრელი ბერძენ-ქართველია, პატარძალი - ლიტველი. ტრადიციების შერწყმა ყოველთვის საინტერესო სანახავია. პატარძლის სახლის აივანი ჭნავის მწიფე ნაყოფიანი ტოტებით მოურთავთ.

პატარძალს კაროლინა ჰქვია. მას ციხისჯვარი განსაკუთრებულად უყვარს, დილაუთენია მეზობლის ცხენითაც ჯირითობს და მენახირეებს საქონლის გადევნაშიც ეხმარება, მიუხედავად იმისა რომ ქალაქელი გოგოა. ბებია თბილისელი ბერძენია, ლიტვაში გათხოვილი. სისხლის ყივილიც ამას ჰქვია და კაროლინამ წინაპრების სამშობლო შეიყვარა და შეისისხლხორცა და აი, გათხოვდა კიდეც ციხისჯვარში. სანამ რემოს გაიცნობდა, ერთ გაზაფხულს, ეს პატარა გოგო მოტოციკლეტს შემოახტა და ლიტვიდან ნახევარი ევროპის გავლით ციხისჯვარში ჩამოგრიალდა. სანამ ოფიციალურად დაქორწინდებოდნენ, რემომ და კაროლინამ ერთად იმუშავეს ბაკურიანის ვეტაფთიაქში.



ლიტვიდან მოზრდილი დელეგაცია ჩამოვიდა - კაროლინას მშობლები, ძიძა, მეგობრები, ბებია.. .ყველანი თავს ლაღად და კომფორტულად გრძნობენ. არაფერი ეხამუშებათ, პატარძლის მოსაყვანად ცეკვა-თამაშით და დოლ-გარმონის ჰანგებით მოსული სიძის მაყრიონს ასევე ცეკვა-ცეკვით შეეგებნენ. პატარძალს ეტყობა, რომ ყველანაირად ცდილობს ადგილობრივი ტრადიციები დაიცვას, ორივეს ერთმანეთისადმი პატივისცემა თვალში საცემია, მიუხედავად იმისა, რომ რემო სიძის როლშიც ისეთივე უშუალო და ალალია, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბერძენ ბიჭს ქართული ჩოხა-ახალუხი საოცრად შვენის. ,,ჰა, როგორ მოგწონს?“ - მეკითხება და თვალს მიკრავს. მე მოხიბლული ვარ. კაროლინას მოკრძალებული ირმებიანი კაბა აცვია.

მთელ ციხისჯვარს ესმის ჩვენი ტაშ-ფანდური. ეკლესიისკენ გზა თოკით გადაგვიკეტეს. აქაური ტრადიციაა, თოკის ბოლო ხანში შესულ ქალს უჭირავს და რაღაცას ევაჭრება სიძესა და მის მეჯვარეს. როგორც იქნა გზა გაიხსნა და ეკლესიაშიც მოვედით. შევიტყვეთ, რომ ბერძნებს კაროლინა მოუნათლავთ მართლმადიდებლურად. ეკლესიიდან უკვე ღვთისაგან ნაკურთხი ცოლ-ქმარი გამოვიდა, მართალია, კაროლინა ჯერ ვერ ამბობს ქართულად ,,მამაო ჩვენოს“, მაგრამ ისეთი ყოჩაღია, მალე ქართულადაც იტყვის და ბერძნულადაც. ეკლესიიდან გამოსულ ახლადდაქორწინებულებს ბრინჯი შეაყარეს - ესეც ევროპული ტრადიცია.

სიძესთან დალოცვები და ცეკვა-თამაში გაიმართა. აცეკვებულ ნეფე-პატარძალთან ცხენზე ამხედრებული ახლობელი მოჭენდა, ომახიანად მიულოცა გაბედნიერება, პატარძალს ასლარიანი ჩაუჭმუჭნა ხელში და ცხენი ისევ გააჭენა.

შემდეგი პუნქტი ბორჯომის პარკი და ფოტოსესიაა. სტუმრებს მიკროავტობუსში ვხვდები. მძღოლი ჩემთვის კარგად ნაცნობი ციხისჯვრელია. გზად ხუმრობს, ცდილობს მოკლეზე ჩაჭრას გზა, მაგრამ სტუმრები ეწინააღმდეგებიან და უნდათ ქორწილის ყოველი დეტალითა და აქაური ტრადიციების სრული შეგრძნებებით დატკბნენ. ამიტომ საქორწინო კორტეჟმა სრული შემადგენლობით და გამაყრუებელი სიგნალებით ჩაიარა ბაკურიანი. ბორჯომის პარკში გაჩაღდა დაუსრულებელი ფოტო-ვიდეოს გადაღება. პარკში ყველა უცხოელი ტურისტი ჩვენს ლამაზ სიძე-პატარძალს ფოტოებს უღებდა.

ფოტოსესიის დასრულების შემდეგ, როგორც იქნა, ბოლო პუნქტს, სადღესასწაულო დარბაზ ,,პონტიკს“ მივაშურეთ ხაშურის შესასვლელში. ახლა სიძის მეგობრების მანქანაში მოვხვდი, რომლებიც რუსულ-ქართულ-ბერძნულად საუბრობდენ.

საქორწილო დარბაზში შესვლისას მოკლე სადღესასწაულო ცერემონია გაიმართა, შემდეგ უშველებელი ტორტის დაჭრა და ფეიერვერკი, სუფრაზე უხვი და მთელი დღის დამშეული ხალხის გემრიელი მოლხენა. თამადა მჭერმეტყველი და ორენოვანი - ჯერ ქართულად ჩააქარაგმებს სათქმელს, შემდეგ სპეციალურად ლიტველი სტუმრებისათვის უნაკლო რუსულით ჩაატკბობს ქართულ სადღეგრძელოს. ცეკვების დროს ქართული ღვინით შეზარხოშებული სტუმრებისათვის სულ ერთია რა მელოდიაზე გაშლიან ხელებს - შალახოზეც და ბერძნულ სირტაკზეც ერთნაირად ხტუნაობენ. პატარძალი წინა დღეების ნამეცადინარი გულისამაჩუყებლად ცეკვავს ტრადიციულ „ქართულს“. თუმცა სიძე უკმაყოფილოა, გარკვეული მოძრაობები დაავიწყდაო. უნაკლო არც თვითონ იყო და თავგამოდებით დავიცავი კაროლინა, რომლის „ქართულის“ ენთუზიაზმმა ისედაც ცრემლები მომგვარა.

დარწმუნებული ვარ, ეს ქორწილი ყველა იქ მყოფს მოეწონა. მე პირადად აღფრთოვანებული ვუყვებოდი ყველას, ასეთ ლაღ, გულწრფელ, გულღია ზეიმის შესახებ, სადაც ქართული, ბერძნული, ლიტვური ტრადიციები ერთმანეთს შეერწყა. მადლობა რემოს, მადლობა ციხისჯვრელებს. კიდევ გესტუმრებით.

**ბედნიერი ოჯახის შექმნას ვუსურვებ ახლადდაქორწინებულებს.**

**რუსუდან სხირტლაძე**

ისტორიები ყოველგვარი შელამაზების გარეშე

## მოგონებები გარდასულ დღეთა...

ამას წინათ გულდასმით წავიკითხე **გელა ჩარკვიანის** მეტად საინტერესო წიგნი, რომლის სათაურია „ინტერვიუ მამაჩემთან“, რომელიც ეხება საბჭოთა ხელისუფლების წლებში მამის, კანდიდ ჩარკვიანის მოღვაწეობას და მის ურთიერთობას იოსებ სტალინთან, რომელსაც გასული საუკუნის 30-იან წლებიდან 1952 წლამდე ხშირად შეხვედრია.



წიგნში შვილის კითხვებს ობიექტურად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე პასუხობს მამამისი, ბატონი კანდიდ ჩარკვიანი. ინტერვიუში მრავალ საინტერესო საკითხზეა გამახვილებული ყურადღება, რომელთა ობიექტურობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

ინტერვიუში საუბარია სტალინის ბორჯომში 1951 წელს ჩამოსვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ბორჯომში სტალინის დასვენებასთან დაკავშირებით საქართველოსთვის ორი ურთულესი საკითხი გადაწყდა. პირველი ის, რომ კანდიდ ჩარკვიანმა სტალინს დაუსაბუთა თბილისში მეტროს აშენების აუცილებლობა, რასაც სტალინი დაეთანხმა. სტალინმა ბორჯომში მიიღო ძველი ბოლშევიკები, მათთან საუბარში გამოიკვეთა „მეგრელთა საქმე“, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე წერილები მზადდება და ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდება. თუ რატომ ჩამოვიდა სტალინი წყალტუბოდან ბორჯომში, ამის შესახებ მოკლე ინფორმაციას ქვემოთ გაეცნობით. ურთიერთობის საკითხებზეც გვექნება საუბარი.

**კანდიდ ჩარკვიანი** იხსენებს:

- 1951 წელს, როცა მე და სტალინი ერთად ჩამოვედით ბორჯომში, მითხრა, მასთან მიმეყვანა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები. მართლაც, ერთ კვირა დღეს წავიყვანე ბიუროს ყველა წევრი.

სტალინი ჩვეულებრივად გაგვიმასპინძლდა. როცა ვისაუზმეთ - საქმიანი საუბარი გაიმართა.

ჩვენ გვქონდა მხოლოდ ერთი საკითხი. მოვუყევი, რომ თბილისი ასეთ მდგომარეობაშია, ქუჩაში გავლა ძალიან ძნელია, ქალაქი გაჭიმულია ორმოც კილომეტრზე.

ავუხსენი, რომ თბილისში მეტროპოლიტენის გარდა, სხვა ვერაფერი შეგვიმსუბუქებდა მუშაობას და ცხოვრებას. მოხდა უცნაური რამ. როგორც ვუთხარი, წამოხტა და ფანჯარასთან მივიდა. მომეჩვენა, რომ ეწყინა, ალბათ მოუმზადებლად რომ დავაყენე ეს საკითხი. კარგა ხანს ფანჯარასთან ფიქრობდა. კიდევ ვუთხარი ის, რომ თბილისი არის ამიერკავკასიის სარკინიგზო კვანძი და ომის შემთხვევაში, თბილისს დაბომბავდნენ. არავითარი თავშესაფარი ქალაქში არ იყო და მეტროპოლიტენი თავშესაფარი იქნებოდა. მოსკოვის მეტროპოლიტენმა გვიჩვენა ეს. ამასაც ყურადღება მიაქცია და კარგიო, თქვა, დაწერეთ წერილი, რომ განიხილონ მოსკოვში საგეგმო კომიტეტშიო. მხოლოდ ერთი უნდა გააკეთოთ, მე დავაწერ იმ წერილს, რომ მთავარი გვირაბი გაკეთდეს იმ ანგარიშით, რომ მატარებლები გავიდეს გვირაბში და ჩვეულებრივმა რკინიგზის მატარებელმა რომ გაიაროს. ეს იმიტომ თქვა, რომ თუ ომის შემთხვევაში კვანძს დაბომბავენ, მატარებლებს მიწისქვეშ შეძლებოდათ გავლა.

როგორც კი თბილისში ჩამოვედი, შევუდექი წერილის წერას, მე ვწერდი, ვერავის ვანდობდი, ვერავინ დამიწერდა ისე, როგორც მე დავწერდი. მეტროპოლიტენის მშენებლობის საკითხი დადებითად გადაწყდა.

სტალინი არ ჩამოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოში, ეს, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთხელ მოხდა, შენ რომ ახსენე, ბორჯომი. დედამისი რომ გარდაიცვალა, არ ჩამოსულა, ხომ ასეა?

- სიკვდილის დროს არ ჩამოსულა, მაგრამ ცოტა ადრე იყო დედის სანახავად, 1936-ში. მას მერე თბილისში არ ყოფილა. მე ვთხოვე ძალიან, მაგრამ არ ჩამოვიდა.

ალბათ უპრიანი იქნება აგვიხსნა, რატომ გადაწყვიტა სტალინმა ბორჯომში ჩამოსვლა 1951 წელს?

- რატომ ჩამოვიდა, ამის თქმა ძნელია. ჩამოვიდა კურორტზე. საერთოდ, როცა მოხუცდა სტალინი, თავის თავს და ჯანმრთელობას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა. თუმცა ეს ყურადღება, ჩემი აზრით, ყოველთვის რაციონალური არ იყო. ომის შემდეგ ის სულ შავი ზღვის სანაპიროზე ისვენებდა და ამის შემდეგ, რატომღაც იფიქრა, რომ წყალტუბოში დაესვენა. ბორჯომში კი არ წამოსულა, წამოვიდა წყალტუბოში.

აგვისტოს დასაწყისში, დამირეკა და მკითხა, თქვენ საქმეები არა გაქვთ მოსკოვშიო? დიახ-მეთქი, ყოველთვის გვაქვს საქმე მოსკოვში. მაშინ ჩამოდით და თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვსო. - მითხრა სტალინმა, მე წამოსვლა მინდა წყალტუბოშიო, როგორ არის იქ საქმეო. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. წყალტუბოში ერთადერთი სახლი გვქონდა - სანატორიუმი. მე ვუთხარი, რომ მივიღებ ზომებს და ორ დღეში თქვენი მიღება შესაძლებელი იქნება-მეთქი. მართლაც დავურეკე და გამოირკვა, რომ შეიძლებოდა, ამ შენობაში მიგველო სტალინი.

წყალტუბოში აბაზანებს ღებულობდა. იქ ერთი კვირა თუ ათი დღე ერთად ვიყავით. საოცარი სიცხე დაიჭირა, პირდაპირ შეწუხებული იყო კაცი. წუხდა, ვატყობდი და მერე ვუთხარი, ავიდეთ-მეთქი ბორჯომში. და შემდეგ შეიძლება აქ დაბრუნება, სიცხე რომ გაივლის.

იქ რა არისო? მე ვუთხარი, სასახლე გვაქვს, იცით, თქვენ გინახავთ. ჰო, მინახავსო. წავიდეთო, მაგრამ ცოტა მოუთმენელი კაცი იყო, ახლავე წავიდეთო. ახლა მე ძალიან მეუხერხულა იმიტომ, რომ მე კი ის სასახლე ვიცი და ვყოფილვარ, მაგრამ მაინცდამაინც კარგ მდგომარეობაში არც ის სასახლე იყო იმ დროს. ომის შემდეგ ჩვენ ის არ გაგვირემონტებია და არანაირი რეკონსტრუქცია არ ჩაგვიტარებია. ომის შემდეგ ჩვენთან შეიცვალა მთელი სანიტარული ტექნიკა, კურორტებზეც და სახლებშიც ბევრგან. ომამდელი ტექნიკა არ გამოგვადგებოდა. რა ვქნა ახლა? დავურეკე მაშინვე ჩეკისტებს. იქ, წყალტუბოში, ჩამოტანილი გვქონდა ახალი სანიტარული ტექნიკა, ტექნიკის საშუალებები, უნიტაზები და სხვადასხვა გამოვატანე. სტალინი დავითანხმე, რომ მეორე დღეს წავსულიყავით.

ამაღამ გაათენეთ და ეს დაამონტაჟეთ უსათუოდ-მეთქი, - ვუთხარი ჩეკისტებს. და მეორე დღეს დაახლოებით შუადღეზე, წამოვედით ბორჯომში. იქ მშვენიერი, დაბალი ტემპერატურა იყო. რომ მივედით სასახლეში, იქ დიდი თერმომეტრი იყო ჩამოკიდებული და შეხედა, 18 გრადუსია. ამის შედარება არ შეიძლებოდა წყალტუბოსთან, სადაც მაშინ 40 გრადუსი მაინც იქნებოდა.

ამონარიდები წიგნიდან „ინტერვიუ მამაჩემთან“.

**ვალერიან ლომიძე.**

## ბორჯომი ჩემი სიამაყეა



**მივესალმები ჩემ მშობლიურ ქალაქს, ჩემ ბორჯომელებს, მის სტუმრებს, მოაგარაკეებს და ტურისტებს, ყველას, ვისაც შეხება აქვს ამ სამოთხესთან. ვისურვებდი ნაკლები პრობლემებით შეხვედროდნენ ყველა საერო და საეკლესიო დღესასწაულებს.**

**საზოგადოება ,,ბორჯომელები“ ჩვენი ქალაქის და ქვეყნის სიყვარულით ვცხოვრობთ. გვახარებს უკანასკნელი წლების ჩვენი ქალაქის სასიკეთო ფერისცვალება. ბევრი რამ აშენდა, გაკეთდა, განახლდა მრავალსართულიანი სახლების ფასადები, მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლებში მრავალი სკვერი, საბავშვო მოედანი მოეწყო, დაიგო ასფალტ-ბეტონის გზები. ბევრი რამ კეთდება კულტურულ ცხოვრებაში. მომავალში მეტია საჭირო და მალე მოეპოვებინოს ბორჯომს საერთაშორისო ტურისტული ცენტრის საპატიო სახელი. მეტი ვიზრუნოთ მივიწყებული ტრადიციების აღდგენისათვის, ბორჯომი ხომ მუდამ გამოირჩეოდა სტუმარ-მასპინძლობით.**

**ჩემ ბორჯომელებს ვუსურვებ ბედნიერებას და სიცოცხლით სავსე დღესასწაულები**

**ჯუმბერ კურტანიძე,**
ბორჯომის საპატიო მოქალაქე.

## არქიტექტორის შენიშვნა



ერთ არცთუ უმნიშვნელო თემას შევეხები. შანშან, ზაფხულში, ბორჯომისათვის ქალაქის სტატუსის მინიჭების 100 წლისთავი აღინიშნა. მინდა ჩემმა თანამოქალაქეებმა იცოდნენ, რომ მრავალი ისტორიკოს-მკვლევარის (ვლ. აბულაძის, ს. მაკალათიას, გ. ხუჯაძის, გ. ნასიძის, გ. ჯანშიევსა და სხვათა) აზრით ბორჯომი უძველესი დასახლებული ადგილია.

არის საფუძველი, რომ ბორჯომის ტერიტორიაზე დიდი ხნის წინ სახლობდნენ, მაგრამ მტრის მუდმივმა შემოსევებმა აქედან გადაასახლა ხალხი, ტერიტორია გატყევდა, გაუკაცრიელდა...

და მხოლოდ:

1810 წელს - ახალციხიდან გზად მომავალმა ჯარისკაცებმა აღმოაჩინეს მინერალური წყალი და ეს ადგილი 1819 წლიდან იწოდა „ბორჯომად“; 1830 წლიდან იწოდა ,,ბორჯომის ხეობად“; 1842 წლიდან დაერქვა ,,საკურორტო ადგილი“; 1853 წლის 17 აპრილის ბრძანებით გამოცხადდა „დაბა ბორჯომად“; 1918 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ მას უწოდა ,,კურორტი ბორჯომი“, ანუ ჩვენი ბორჯომი ძალიან ძველია და ,,ახალ, 100 წლის ქალაქად“ არ უნდა მოვიხსენიოთ! 1922 წლიდან ბორჯომი ქალაქად იწოდება.

წელს ბორჯომ-ქალაქობაზე თამამად შეგვიძლია ვიზეიმოთ ჩვენი ქალაქის ,,ბორჯომად“ დაბადების 200 წლისთავი.

**მარიამ გელაშვილი,**
საქართველოს არქიტექტორთა და ურბანისტთა კავშირის წევრი.

## ვულოცავთ!



შესანიშნავ პიროვნებას, სამეგობროდ და სხვათა დასახმარებლად შემართულს, ბატონ **თამაზ ჩიქვაიძეს** დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. გულწრფელად ვულოცავთ და ვუსურვებთ მხნეობას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ღვთის წყალობას.

**„ფანტანის" ბიჭები.**

ჩვენი სამეგობროს ერთგულ და უღალატო წევრს **ზურაბ გელაშვილს** ვულოცავთ დაბადების 78 წლისთავს. ვუსურვებთ დადხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

**„ფანტანის" სამეგობროს წევრები**





დაბადების დღეს ვულოცავ **თათია ლომსაძეს** - შესანიშნავ პიროვნებასა და საუკეთესო მეგობარს, ადამიანს, რომელიც ალამაზებს ქალაქ ბორჯომს.

მინდა ვუსურვო კარიერული წინსვლა და საუკეთესო მომავალი

**დიდი სიყვარულით მ.მ.**

## სიყვარულით ამღერდა გული!



-გილოცავთ ქალაქის დღესასწაულს! ბევრი ერთგული ადამიანი, დამფასებელი და მოკეთე ჩვენს ბორჯომს. წლების წინ გაზეთ „ბორჯომში" დაიბეჭდა ჩემი ლექსი „ბორჯომს", რომელზეც კომპოზიტორმა თეა ჯინორიამ შექმნა მუსიკა და მოხარული ვარ, რომ მისი პრემიერა შედგება 14 სექტემბერს „ბორჯომ-ქალაქობაზე", რომელსაც შეასრულებს ანსამბლი „ბორჯომი" გიორგი ბუგიანიშვილისა და რობერტ ნადირაძის ხელმძღვანელობით. ეს კი ჩემ ძვირფას ბორჯომს ახალი ლექსი ექსპრომტად:

## ჩემი ქალაქის დღე – ბორჯომობა!

ბორჯომობაა!
სიყვარულით ამღერდე უნდა,
მზემ ფრთა გაშალა
ჩემს ქალაქში ისე დაბრუნდა...
მითხრა: ხომ იცი მიყვარხარო,
შენი ბორჯომით,
მზის სიყვარულის
თქმას ვისმენდე
სხვა გულს რა უნდა.
ეს ბორჯომულა, მოღელავდა
ჯერ ისე მშვიდად
მზის ხმა გაიგო,
გადიდგულდა და ახმაურდა!
შენ აქ ხარ, მზეო,
ლამაზი დღე ბორჯომობაა!
სიხარულისა დრო მოვიდა,
ჟამი დაბრუნდა!

უდიდესი სიყვარულით
**მაკა ბლიაძე**
**პოეტი**

## ბორჯომს

ბორჯომო, ერის სიამაყე ხარ,
შენს სიყვარულში ყელს მოვიღერებ,
ღრმად ჩავისუნთქავ ნაძვნარის ჰაერს,
გიძღვნი ლექსებს და
ლამაზ სიმღერებს.
შენი ტაძრების ვარ მომლოცველი,
მათი მადლია ჩემი სიცოცხლე,..
მაფხიზლებს მამა დავითის ზარი,
ყოველ ცისმარზე შენთვის ვილოცებ.
მარადიული სიმწვანე მხიბლავს,
ვერსად ვერ ვპოვე შენი სადარი,
აქ, წელიწადის ოთხი დრო ბრწყინავს,
ჯადოსნურია დარიც, ავდარიც...
ნაძვის და ფიჭვის სურნელი მათრობს,
საოცარია ზაფხულში დილა,..
შენ საქართველოს მარგალიტი ხარ,
ვერ დაგივიწყა შენმა მხილველმა.
უფალმა შექმნა მთელი სამყარო,
ჩვენ გვისაჩუქრა ნაძვი სურნელით,
მარად უჭკნობი ეს საოცრება
და სამკურნალო წყლები, ულევი.
შემოდგომისას ზღაპარს ჰგავს თითქოს
ფერთა პალიტრა მადლიან ტყეში,..
კლდის თავზე მდგარი ირმის ყვირილი
ბორჯომულას რომ მისწვდება ხევში.
ბუნების მწვანე ბრილიანტი ხარ,
შენი ჩანჩქერით, სიოთი ვხარობ,
სმენად ფრინველთა
ჟღურტული ატკბობს,
მტკვარის დუდუნი საამოდ მართობს.
გაბრწყინებული ჯვრებით შემკულო,
ტაძრებში რეკავს შენთვის ზარები,
ბორჯომო! გლოცავს ერი და მრევლი,
გლოცავენ ჩვენი წმინდა მამები.
შორს გაიტანე ჩვენი სახელი,
უფლის ნაკურთხი ღვთიური მადლი,
მეამაყება, ვარ ბორჯომელი
და საქართველოს მიწაზე გავჩნდი.

**ელზა ხერხეულიძე**

## მე ვარ ქართველი

მე ვარ ქართველი - ვაზის ჯვრის და სტვირის გამთლელი.
მე ვარ ქართველი - რვალისა და ფარის გამჭედი,
მზის გულზე ვდგავარ, მშვიდ ჩეროში ველარ გავჩერდი,
მე ვარ ქართველი - ანისა და ჰოეს ანბანი,
მე ვარ ქართველი - ვეფხისა და მოყმის ამბავი,
მე ვარ ქართველი - დალოცვილი ნაჟურით ვაზის,
მე ვარ ქართველი - მძლავრ მაჯაზე მიმინო მაზის,
მე ვარ ქართველი - მშენებელი გელათის, ოშკის,
შატილისა და სვეტიცხოვლის, სვანური კოშკის,
მე ვარ ქართველი - ვერ მისული ჯერაც ლოცვამდე.
მე ვარ ქართველი - ხელისგულზე ხურდის დამთვლელი,
მე ვარ ქართველი - ქართველისთვის კუბოს გამთლელი,
მე ვარ ქართველი - გახიზნული უცხო მხარეში,
სხვისა გალავნის კირითხურო, ხელის ფარეში,
მე ვარ ქართველი - სინანულის განცდის გარეშე
და ჩემი სახლი გადაიქცა საპირფარეშოდ.
ჩემს ნავენახარ-ნაფუძარზე მტერი თარეშობს...
„ხმალი ავლესოთ ქართველებო, ხმალი ავლესოთ!"..

**ჯემალ ტაბატაძე**

## ერთი წლის გადასახედიდან

**სასწავლო წლის მანძილზე სასპორტო სკოლის ხელმძღვანელობის თაოსნობით მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში (გოგონებს შორის). ახალდაბის და ბორჯომის სტადიონზე გაიმართა სამცხე-ჯავახეთის და იმერეთის რეგიონის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები**. ჩატარდა ქალაქის ღია პირველობა კალათბურთში, მრავალი ამხანაგური შეხვედრა: ფეხბურთში, ჭადრაკში, კრივსა და მკლავჭიდში. ჩატარებული იქნა რაიონის საჯარო სკოლების ოლიმპიადა სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ბორჯომის სახელით იასპარეზა 900-მდე მოზარდმა, რომელთაგან 50-მდე მოზარდმა სხვადასხვა საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები გუნდების შემადგენლობაში წარმატებით ასპარეზობდნენ სასპორტო სკოლაში აღზრდილი ბერძნულ-რომაულ სტილის მოჭიდავეები: **დ. ხაჩიძე, ბ. ჭკუასელიძე**, **ო. დვალიშვილი**, **ი. სამსონაშვილი** და სხვები. განსაკუთრებულ მაღალ შედეგს მიაღწია ძიუდოს სექციის სპორტსმენმა **ნინო პაპიძემ**, რომელიც ევროპის ჩემპიონი გახდა გუნდურ ჩათვლაში. აღსანიშნავია სასპორტო სკოლის მკლავჭიდელთა წარმატება სლოვაკეთის ქალაქ ბრატისლავაში, **ნელი უსტიმენკომ** და **დავით მელიქიძემ** სამი მესამე ადგილი მოიპოვეს. საქართველოს და რეგიონალური პირველობის ჩემპიონები გახდნენ **მოჭადრაკეები**: ბ. შონია, თ. რუსიტაშვილი, გ. მესხი. **მძლეოსნობაში**: - ა. მაისურაძე, გ. გელაშვილი. **კრივში**: ნ. რობაქიძე, უ. გოგალაძე. **ბიატლონში**: ა. ავეტისიანი, თ. ბიჩინაშვილი, რ. პეტროსიანი, ა. მაიტესიანი. **სამთო-სათხილამურო სპორტში**: ნ. კურტანიძე, ბ. ბერძენიშვილი. **საციგაოში**: **ს. ქუმარიტაშვილი. სკი-კროსში: დ. თედიაშვილი.** რესპუბლიკის ნაკრებ გუნდების შემადგენლობაში ირიცხება როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის სპორტის სახეობების წარმომადგენლები.

## ბორჯომ-ქალაქობის პროგრამა

**14 სექტემბერი**

**12:00-21:00სთ - ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი;**
**12:00სთ - ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა;**
**16:00სთ - სპორტული ღონისძიება;**
**მარათონი პლატოს აღმართი;**
**17:00სთ - საბავშვო ღონისძიებები ინსტალაციები, პერსონაჟები, გასართობი აქტივობები;**
**18:00სთ - კონცერტი ადგილობრივი ანსამბლების შესრულებით;**
**19:00სთ - ოფიციალური პირების (სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებული ბესიკ ამირანაშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არბოლიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი და საპატიო სტუმრები (ყაზახეთის რესპუბლიკიდან) მილოცვა ბორჯომელებსა და ბორჯომის სტუმრებს;**
**საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება**
**19:30სთ - გალა-კონცერტი, მონაწილეები „ოჩოს ქოხი".**
**21:00სთ - ფეიერვერკი.**

**გვეწვიეთ ბორჯომში და ერთად აღვნიშნოთ „ბორჯომ-ქალაქობა -2024".**




## ბორჯომელი ნუმიზმატი საბა



**საბა სუთიძემ 7 წლის ასაკიდან დაიწყო უძველესი კოლექციის მონეტების შეგროვება და დღეს მისთვის თითოეული მათგანი ძალიან მნიშვნელოვანია.**

თავდაპირველად უძველესმა ნაჩუქარმა მონეტამ გამოიწვია მასში ნუმიზმატიკით დაინტერესება და უკვე წლებია გრძელდება. განსაკუთრებით მეგობრობს ადამიანებთან, რომელთა გატაცების სფერო უძველესი მონეტების, მედლების, ორდენების შეგროვება და მათი ისტორიის საფუძვლიანად გაცნობაა. საბას მონეტების კოლექცია დღეს 800-1000 მონეტამდე მერყეობს. როგორც გვიყვება, შენახული აქვს ძველი ქართული ფულიც, ქაღალდის 1 და 2 ლარიანი, 50 თეთრიანი.

რედაქციაში დამოუკიდებლად მოვიდა და თან უძველესი მონეტებიც მოიტანა საჩვენებლად, მათთვის განკუთვნილ სპეციალურად ჩასადები ყუთიდან ამოიღო და საუბარი იმდენად დიდი სიდინჯითა და სერიოზულობით დაიწყო, ამ თვისებების გამო მაშინვე კიდევ უფრო მეტად მიიქცია ჩემი ყურადღება. თითოეული მათგანის შესახებ ინფორმაციას ზედმიწევნით ფლობდა.

რედაქციაში, ჩემს სამუშაო მაგიდაზე უამრავი ძველი მონეტა აღმოჩნდა, მონეტებს შორის იყო: სელევკიდები ანტიოქე III-ის ბერძნული მონეტა, მის კოლექციაში უძველესი, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვით II საუკუნით თარიღდება. რომის იმპერია, კონსტანტინე I-ის IV საუკუნის, რომის იმპერია ვალენტინიანე I-ის, II-III საუკუნის მონეტა, რუსუდან მეფის მონეტა, 13 საუკუნის, თამარ მეფე, XII საუკუნის, ტაღლით დარტყმული, რუსუდან მეფის მონეტა, XII-XIII საუკუნეების, სამი ტაღლით დარტყმული, გვიხსნის, რომ ეს უიშვიათესი მონეტაა და ფრთხილად აბრუნებს თავის ადგილზე. ელიზაბედ II-ის მონეტა კი იშვიათია და ის 1792 წლით თარიღდება.

მაჩვენებს XIII საუკუნის მონღოლურ მონეტას. მის კოლექციაში ყველაზე პატარა მონეტა გიორგი III-ს ეკუთვნის.

დღეს უკვე 4 ვერცხლის მონეტის მფლობელია:

1929 წლის რუსული 20 კაპიკიანი, 1902 წლის რუსული 10 კაპიკიანი, ნიკოლოზის ვერცხლის მონეტა, 1924 წლის ყველასთვის ცნობილი რუსული ვერცხლის მონეტა, 1818 წლით დათარიღებული ვერცხლის მონეტა.

მონეტების შესახებ ინფორმაციას სურათების დახმარებით ინტერნეტ სივრცეში იძიებს და გაერთიანებულია სოციალურ ქსელში, სადაც ნუმიზმატები ერთმანეთს აზრს ხშირად უზიარებენ. ერთ-ერთ მონეტაზე გვიყვება, რომ ამ მომენტისათვის მის შესახებ ინფორმაციას იძიებს.

- შენახული მაქვს ქართული ფულიც, ძველი 50 თეთრიანი, ქაღალდის 1 და 2 მანეთიანი. ჩემი კოლექციის შორისაა რუსეთის იმპერიის 2 კაპიკიანი 1823 წლის, (კარგად დააკვირდა წელს, რადგან შეცდომა გამორიცხა.), 1815 წლის რუსეთის იმპერიის 2-კაპიკიანი და 1905 წლის რუსული მონეტა.

ასე, თანდათან ფრთხილად გვაჩვენებდა მონეტებს, რომ არ დაზიანებულიყო. ისეთი სიყვარული იკითხებოდა მის თვალებში თითოეული მონეტის მიმართ, რომ ეს მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ.

სპეციალურად, თბილისში მშრალ ხიდსაც სტუმრობს ხოლმე, რომ უძველესი მონეტები შეიძინოს. ოცნებობს მონეტაზე, რომელიც არის პირველი ქართული ფული „კოლხური თეთრი". „იგი ძველი წელთაღრიცხვით III-IV საუკუნისააო", - გვეუბნება საუბრისას. უახლოეს მომავალში აუცილებლად შევიძენ. ბორჯომის მუზეუმშიც მივიტანე ჩემი მონეტები და მითხრეს, რომ სიამოვნებით შეიძენდნენ, მაგრამ გასაყიდად არც ერთი მემეტება.

11 წლის საბასთვის ნუმიზმატიკით დაინტერესება, ნაჩუქარი ძველი მონეტით დაიწყო და დღემდე გრძელდება. სასიამოვნოა, როდესაც ჩვენს ქალაქში ასეთი ამბები შეუმჩნეველი არ გვრჩება და ჩვენი ჟურნალისტების პროფესიაცსწორედ საინტერესო ამბების თხრობაა თქვენთვის, ჩვენი მკითხველისათვი

**იზა იანვარაშვილი**

**ნანა და ნინო ცუცქირიძეები, ლადო ხუნდაძე, ავთო ლაბაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი**

**ზურაბ ლომიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს, მეგობრებს და ახლობლებს.**

**ნანა თედიაშვილი ცუცქირიძე, ავთო ლაბაძე სამძიმარს უცხადებენ ლადო ხუნდაძეს ძვირფასი მამის**

**რობერტ ხუნდაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**ლომიძეების საგვარეულო დარბაზი იუწყება, რომ გარდაიცვალა გვარის უხუცესი წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

**ზურაბ ლომიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,
რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა
ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
მორიგე: იზა იანვარაშვილი კორექტორი: ნანა კევლიშვილი